

საქართველოს კანონი

„საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, № 47, 26.12.2007, მუხლი 402) მე-16 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“6. 2010 წლის 1 მაისიდან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში წევრ-კორესპონდენტების არჩევნები ჩატარდეს მხოლოდ გამოთავისუფლებულ ადგილებზე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიმდინარე ასიგნების ფარგლებში.”

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 მაისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,
2010 წლის... ..